საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 27 04/06/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის #50/89 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან 2018 წელს დასაფინასებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ცვლიების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 -ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.შეტანილ იქნეს ცვლილება **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის #50/89 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან 2018 წელს დასაფინასებელი პროექტების მოწონების შესახებ“**

მუხლი 2. მოწონებული იქნეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები და მოწონებულ პროექტთა ნუსხას დაემატოს დანართით წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები(თან ერთვის).

მუხლი 3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე